ეროვნული ანგარიში ორჰუსის კონვენციის განხორციელების შესახებ
სერტიფიცირების ფურცელი

ეს ანგარიში წარდგენილია საქართველოს სახელით მხარეთა კონფერენციის I/8 გადაწყვეტილების შესაბამისად

თანამდებობის პირი, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული მოხსენების წარდგენაზე:	ზაალ ლომთაძე – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის მოადგილე
ხელმოწერა:	
თარიღი:	11.01.2005

განხორციელების ანგარიში
ინფორმაცია ანგარიშის შედგენის შესახებ

მხარე	**საქართველო**
ეროვნული საკონტაქტო პირი	
ორგანიზაციის სრული დასახელება:	გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
პირის თანამდებობა, სახელი და გვარი:	საერთაშორისო ურთიერთობებისა და კონვენციების სამმართველოს უფროსის მოადგილე ნინო გოხელაშვილი
საფოსტო მისამართი:	0171
ტელეფონი:	334 082
ფაქსი:	333 952
ელ-ფოსტა:	gmep@access.sanet.ge
საკონტაქტო პირი ეროვნული ანგარიშისათვის (თუ განსხვავდება):	
ორგანიზაციის სრული დასახელება:	
პირის თანამდებობა, სახელი და გვარი:	
საფოსტო მისამართი:	
ტელეფონი:	
ფაქსი:	
ელ-ფოსტა:	

მოკლედ აღწერეთ ანგარიშის მომზადების პროცესი. მიუთითეთ, რომელმა საჯარო დაწესებულებებმა მიიღეს მონაწილეობა ან წარმოებდა კონსულტაციები, როგორ მიიღო მონაწილეობა საზოგადოებამ და როგორ იქნა საზოგადოების მონაწილეობის შედეგები გათვალისწინებული. რა მასალას დაეყრდნო ანგარიში

პასუხი:

– ანგარიშის შესრულების კითხვარი შესავსებად გაეგზავნა ყველა სამინისტროს. კომენტარებით გამოგვეხმაურნენ უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროები. განათლების სამინისტრო და პარლამენტის გარემოსდაცვითი კომიტეტი გამოდვეხმაურნენ კომენტარების გარეშე.

შევსებული ანგარიშის პირველი ვარიანტი გავრცელდა არასამთავრობო ორგანიზაციების CENN ელექტრონული ქსელით ყველა გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციაში. ცალკე გაეგზავნათ გარემოსდაცვით იურიდიულ არასამთავრობო ორგანიზაციებსაც. მოვიდა კომენტარები არასამთავრობო ორგანიზაციების საინიციატივო ჯგუფისა და "მწვანე ალტერნატივა"- საგან. ანგარიშის საჯარო განხილვა ჩატარდა 26 ნოემბერს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში. საბოლოო შესწორებული ვარიანტი განთავსდა REC-ის ვებ-გვერდზე და მისივე საშუალებითდა გავრცელდება ყველა გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციაში 2005 წლის 12 იანვარს

მიუთითეთ ყველა ის განსაკუთრებული მომენტი, რომელიც მნიშვნელოვანია ანგარიშის გასაგებად, მაგ: ფედერალური ან დეცენტრალიზებული გადაწყვეტილების მიმღები სტრუქტურის არსებობა; აქვს თუ არა კონვენციის დებულებებს უშუალო მოქმედების ძალა; წარმოადგენს თუ არა ფინანსური პრობლემები მნიშვნელოვან დაბრკოლებას კონვენციის განხორციელებისათვის და სხვა

პასუხი:

– კონვენცია მოქმედებს უშუალოდ ("საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ" (მუხლი 6, პუნქტი 2) საქართველოს კანონის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას უპირატესობა აქვს ეროვნულ კანონმდებლობასთან შედარებით)

– ფინანსური პრობლემები მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა როგორც ინფორმაციის მოგროვების, ასევე მისი დამუშავების, გამოცემის და გავრცელებისათვის

– კონვენციის განხორციელებისათვის აუცილებელი პროცედურები მინიმალურ დონეზეა გამართული, როგორც ხელისუფლების ინსტიტუციური სირთულეების, ასევე საზოგადოების მწირი ინფორმირებულობის გამო

<u>მუხლი 3</u>

ჩამოთვალეთ საკანონდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მე-3 მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტების განხორციელებას

ახსენით როგორ ხორციელდება ეს პუნქტები. კერძოდ, აღწერეთ:

(a) **მე-2 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ თანამდებობის პირები და ორგანოები ეხმარებოდნენ და აკვალიანებდნენ საზოგადოებას;

(b) **მე-3 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული გარემოსდაცვითი განათლებისათვის და ცნობიერების ამაღლებისათვის;

(c) **მე-4 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარემოს დამცველ ასოციაციებს, ორგანიზაციებს და ჯგუფებს სათანადო აღიარება და მხარდაჭერა ჰქონდეთ;

(d) **მე-7 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული საერთაშორისო დონეზე კონვენციის პრინციპების დანერგვის ხელშესაწყობად;

(e) **მე-8 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ პიროვნებანი, რომლებიც კონვენციით მინიჭებულ უფლებებს იყენებენ, არ იყვნენ დასჯილნი, დევნილნი ან შეზღუდულნი

პასუხი:

(a) კონვენციის მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით (იხ. ქვემოთ). გარდა ამისა, კონვენციას

აქვს უშუალო მოქმედების ძალა (იხ. პასუხი წინა შეკითხვაზე). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულია შემდეგი: "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულია მოქალაქეთა უფლებები გარემოს დაცვის სფეროში. კერძოდ, ამ კანონის მე-6 მუხლის თანახმად, მოქალაქეს უფლება აქვს ცხოვრობდეს თავისი ჯანმრთელობისათვის უვნებელ და ჯანსაღ გარემოში, აგრეთვე, მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია თავისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საქართველოს პრეზიდენტს ყოველწლიურად წარუდგენს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ. სავალდებულოა, აღნიშნული მოხსენების გამოქვეყნების გზით, მისი საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპის დაცვა. ამავე კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, "გარემოს დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით, იქმნება გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემა, რომელიც მოიცავს გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას (მდგრადი განვითარების სტრატეგია). აუცილებელია საზოგადოების მონაწილეობა მდგრადი განვითარების სტრატეგიის პროექტის შემუშავებაში".

(b) *"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად "მოქალაქეს უფლება აქვს მიიღოს გარემოსდაცვითი და ეკოლოგიური განათლება, აიმაღლოს გარემოსდაცვითი ცნობიერების დონე. საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლებისა და სპეციალისტების მომზადების მიზნით დადგენილია გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო სასწავლებლების, კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების დაწესებულებათა ქსელს".*
გარემოს დაცვის სამინისტროს შემუშავებული აქვს "მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამა", რომელიც დამტკიცებულ იქნა 2002 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით

(c) *"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეს უფლება აქვს გაერთიანდეს გარემოსდაცვით საზოგადოებრივ ორგანიზაციებში*

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს და მათ სხვა იურიდიული პირების (მათ შორის სახელმწიფოს) თანაბარი უფლებები გააჩნიათ

(d) *საერთაშორისო გლობალურ და რეგიონულ გარემოსდაცვით პროცესებში (როგორიცაა WSSD, "გარემო ევროპისათვის", "გარემო და ჯანმრთელობა") საქართველო ყოველთვის უჭერს მხარს გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას ორჰუსის კონვენციის პრინციპების შესაბამისად*

(e) *ორჰუსის კონვენციით გათვალისწინებული უფლებები დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით და ადმინისტრაციული კოდექსით. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის თანახმად ყველას აქვს უფლება თავის უფლებათა (მათ შორის კონვენციით მინიჭებულ უფლებათა) და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს*

აღწერეთ, თუ რა **წინააღმდეგობები შეხვდა** მე-3 მუხლის ზემოჩამოთვლილ პუნქტების შესრულებას

პასუხი:

– *მიუხედავად მოქმედი კანონმდებლობით უზრუნველყოფისა, არსებობს განხორციელების ბევრი პრაქტიკული პრობლემა. ქვეყანას, მიუხედავად საკანონმდებლო მოთხოვნებისა, არ გააჩნია მდგრადი განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენება იწერება საზოგადოების მონაწილეობის გარეშე, არ გააჩნია თანამედროვე ფორმატი და აქტიურად არ ვრცელდება (თუმცა, ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში). გარემოს დაცვის დაგეგმვის სისტემა არაფუნქციონალურია (ამჟამად დაგეგმილია*

რესტრუქტურიზაცია). გასულ წლებში დაფიქსირდა რამდენიმე პრეცედენტი, როდესაც მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა არსებული კანონმდებლობის დარღვევით (ზოგი სამთავრობო უწყების და ინვესტორის მიერ, გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ელემენტარული არცოდნის ან ლობისტური ინტერესების იმედით, მათი იგნორირების გამო). ამ შემთხვევებმა გამოიწვია გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მწვავე პროტესტი, რის შედეგადაც მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა; თუმცა მთავრობის ერთიანი მოქმედება ამ მხრივ ჯერაც არ არის სრულად უზრუნველყოფილი

– *გარემოსდაცვითი განათლების ერთიანი სისტემა არ არსებობს. ცალკეული ფრაგმენტები უფრო კერძო ინიციატივებს ეყრდნობიან, ვიდრე გააზრებულ სახელმწიფო პოლიტიკას. გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებული "მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამა", რომელიც დამტკიცებულ იქნა 2002 წელს პრეზიდენტის ბრძანებულებით, პრაქტიკულად არ მოქმედებს და მისი არსებობის შესახებ ინფორმაციაც შეზღუდული წრისათვის არის ცნობილი*

მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია კონვენციის **ზემოთ ჩამოთვლილ ზოგად დებულებათა პრაქტიკული განხორციელების შესახებ**

პასუხი:

- *"მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების სახელმწიფო პროგრამის" შესასრულებლად განათლებისა და მეცნიერების, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების თანამშრომლებისაგან შექმნილი იყო სამმხრივი საკოორდინაციო ჯგუფი. ამჟამად მიმდინარეობს ჯგუფის თავიდან დაკომპლექტება*
- *2004 წელს დამტკიცდა "ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები", სადაც განსაკუთრებულად არის გამოკვეთილი გარემოსდაცვითი განათლების როლი. ამ დოკუმენტის საფუძველზე 2005 წლის მაისისათვის დასრულდება ზოგადსაგანმანათლებლო ეროვნული სასწავლო გეგმების შემუშავება, სადაც გარემოსადაცვითი განათლება პრიორიტეტად არის მიჩნეული. აღნიშნული ქმედებები ხორციელდება ზემოაღნიშნული პროგრამის საფუძველზე. ამ პროცესს მეტი იმპულსი მიეცემა გარემოსა და განათლების მინისტრების კონფერენციის შედეგად (ლიტვა, 2005)*

სათანადო ინტერნეტ-მისამართები:

http://www.parliament.ge/gov/enviro/Parliament/Ministry.htm

<u>მუხლი 4</u>

ჩამოთვალეთ საკანონდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე მე-4 მუხლის დებულებათა განხორციელებას

განმარტეთ, როგორ ხორციელდება მე-4 მუხლის თითოეული პუნქტი. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება. აღწერეთ აგრეთვე:

(a) **მე-2 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ:

(i) ნებისმიერ პირს ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე ინტერესის დასაბუთების აუცილებლობის გარეშე;

(ii) ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაციის შემცველი ფაქტიური დოკუმენტების ასლები;

(iii) ინფორმაცია გაიცემოდეს მოთხოვნილი ფორმით;

(b) რა ზომებია მიღებული **მე-2 პუნქტში** მითითებული ვადების დასაცავად;

(c) **მე-3 და მე-4 პუნქტებთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:

(i) უზრუნველყოფილ იქნას გამონაკლისების გამოყოფა;

(ii) უზრუნველყოფილი იქნას მე-4 პუნქტის ბოლოს მითითებულ საზოგადოებრივ ინტერესზე შემოწმება;

(d) **მე-5 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ საჯარო დაწესებულებამ, რომელსაც მოთხოვნილი ინფორმაცია არ გააჩნია, განახორციელოს კონვენციით მოთხოვნილი ღონისძიებები;

(e) **მე-6 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესრულდეს ინფორმაციის გამოყოფისა და გახსნის მოთხოვნა;

(f) **მე-7 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ უარის შემთხვევაში დაცულია ვადები და სხვა შესაბამისი მოთხოვნები;

(g) **მე-8 პუნქტთან** დაკავშირებით: რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ შესრულდეს საფასურისათვის დაწესებული მოთხოვნები.

პასუხი:

საქართველოს 1999 წლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (განსაკუთრებით მისი III თავი) ძირითადად ფარავს ორჰუსის კონვენციის მე-4 მუხლის მოთხოვნებს. ანუ, საქართველოში საჯარო დაწესებულებებში არსებული მთელი ინფორმაცია (არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ინფორმაცია), თუკი იგი სათანადო წესის მიხედვით დასაიდუმლოებული არ არის, ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის.

ინფორმაციის მოთხოვნის უფლება აქვს ყველას (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 37)

გარემოს დაცვის შესახებ ინფორმაცია, ასევე მონაცემები იმ საშიშროების თაობაზე, რომელიც ემუქრება ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, მიეკუთვნება იმ კატეგორიის ინფორმაციას, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 42,ა)

(a) (i): საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის 2 პუნქტის თანახმად, პირი არ არის ვალდებული მიუთითოს ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი ან მიზანი

(ii): საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, ყველას აქვს უფლება გაეცნოს ინფორმაციას დედანში. თუ არსებობს დედნის დაზიანების საფრთხე, საჯარო დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობის ქვეშ მისი გაცნობის შესაძლებლობა ან წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული ასლი

(iii): საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის 2 პუნქტის თანახმად, თუკი ინფორმაცია საჯარო დაწესებულებაში სხვადასხვა ფორმით არსებობს, პირს აქვს უფლება აირჩიოს მისი მიღების ფორმა

(b) საქართველოში ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილია კიდევ უფრო მკაცრი ვადები. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40-ე მუხლის მე-2 პუნქტის

თანახმად, ინფორმაცია უნდა გაიცეს დაუყოვნებლივ და არა უგვიანეს 10 სამუშაო დღისა. ზოგადი წესი მდგომარეობს იმაში, რომ საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს ან დაუშვას მთხოვნელი უკვე არსებულ ინფორმაციაზე. იგი არ არის ვალდებული შექმნას რაიმე ინფორმაცია საზოგადოების მოთხოვნის პასუხად (იხ. აგრეთვე მე-5 მუხლის შესრულების განხილვა). ამგვარი მიდგომა კონვენციის პრინციპებსაც შეესაბამება

(c) (i): საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საქართველოში არსებობს სულ ოთხი ტიპის საიდუმლო ინფორმაცია: სახელმწიფო, კომერციული, პროფესიული და პირადი საიდუმლოება (მუხლი 27). დადგენილია მკაფიო პროცედურები ინფორმაციისათვის სახელმწიფო ან კომერციული საიდუმლოების სტატუსის მინიჭებისათვის. ამ სტატუსის დოკუმენტებზე დასმულია სპეციალური შტამპი (გრიფი), რომელზეც აღინიშნება საიდუმლოების სტატუსი, დამსაიდუმლოებელი ორგანო და საიდუმლოების ვადა (კომერციული საიდუმლოება უვადოა). გადაწყვეტილება რაიმე ინფორმაციის დასაიდუმლოების ან მის დასაიდუმლოებაზე უარის თქმის შესახებ შედის საჯარო რეესტრში (ანუ ღიაა საზოგადოებისათვის, მუხლი 31). არსებობს ინფორმაციის ჩამონათვალი, რომლის გასაიდუმლოება დაუშვებელია (მათ შორის ინფორმაცია გარემოს შესახებ, აგრეთვე მონაცემები იმ საშიშროებათა შესახებ, რაც ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება, მუხლი 42)

მთელი ის ინფორმაცია, რომელიც ფიზიკური პირის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, წარმოადგენს მის პერსონალურ მონაცემებს და მათი ღიაობის საკითხი თავად ამ პირის მიერ წყდება (მუხლები 27 და 27[1]). დაცულია აგრეთვე დოკუმენტის შემსრულებელ საჯარო მოხელეთა ვინაობა, გარდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებისა (აღმასრულებლის პრივილეგია, მუხლი 29)

ორჰუსის კონვენციის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის b) ქვეპუნქტი და მე-4 პუნქტის a), g), h) ქვეპუნქტები საქართველოში არ გამოიყენება

(ii) კონვენცია მოქმედებს უშუალოდ. საჯარო დაწესებულებები ვალდებულნი არიან დაიცვან მისი მოთხოვნები

(d) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლი ადგენს უფრო მკაცრ მოთხოვნებს საჯარო დაწესებულებებისადმი. ინფორმაციის მოთხოვნის შემცველი განცხადების მიღებისას საჯარო დაწესებულება ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში დაადგინოს, თუ რომელ საჯარო დაწესებულების ფუნქციას შეესაბამება მოთხოვნილი ინფორმაციის ქონა, და თავად გადაუგზავნოს განცხადება ამ საჯარო დაწესებულებას. თუ ასეთი დაწესებულება არ მოიძებნა, განცხადების შეტანიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში განცხადება განმარტებითურთ უნდა დაუბრუნდეს განმცხადებელს

(e) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, დოკუმენტიდან საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ამოღების შემდეგ მისი დანარჩენი, გონივრულ ფარგლებში გამოცალკევებადი ნაწილი უნდა გაიხსნას. ამგვარი დოკუმენტის გაცემისას უნდა მიეთითოს დოკუმენტის ნაწილის დასაიდუმლოების შესახებ, დამსაიდუმლოებელი პირი, საფუძველი და ვადა

(f) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლი აყენებს უფრო მკაცრ მოთხოვნებს უარის თქმასთან დაკავშირებით, ვიდრე ამას ორჰუსის კონვენცია ითვალისწინებს. უარი განმცხადებელს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ. ამის შემდეგ 3 დღის ვადაში კი მას უნდა მიეწოდოს წერილობითი განმარტება, სადაც მითითებული იქნება ის დაწესებულება, რომელთანაც წარმოებდა კონსულტაციები უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. აქვე განმარტებული უნდა იყოს ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება და წესი

(g) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლის თანახმად, ინფორმაციის მიღებისათვის არ შეიძლება დაწესდეს რაიმე საფასური ასლის გადაღებისა და ფოსტით გაგზავნისათვის საჭირო თანხების ანაზღაურების გარდა. ინფორმაციის მომთხოვნისათვის ტარიფების წინასწარ გაცნობის კონვენციით დადგენილი მოთხოვნა ახალია და საჯარო დაწესებულებები ვალებულნი არიან გაითვალისწინონ ის

აღწერეთ, თუ რა **წინააღმდეგობები შეხვდა** მე-4 მუხლის დებულებების შესრულებას
პასუხი: - *არის შემთხვევები, როდესაც ინფორმაციის დიდი მოცულობის შემთხვევაში 10 სამუშაო დღე არასაკმარისია მისი მოძიებისა და გაცემისათვის* - *არ არის შემუშავებული დოკუმენტების ასლების გაცემისას ასლის გადაღების საფასურის აღების პროცედურა (ფასი, სად და როგორ უნდა მოხდეს საფასურის გადახდა), რაც ართულებს ინფორმაციის გაცემას*
მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია **ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის დებულებების პრაქტიკული განხორციელების შესახებ**. მაგ. წარმოებს თუ არა მიღებული მოთხოვნების, მათზე გაცემულ უარყოფით პასუხების და მათი მიზეზების სტატისტიკური აღწერა?
პასუხი: *– საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, ყოველი წლის 10 დეკემბერს ყოველი საჯარო დაწესებულება ვალდებულია წარუდგინოს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს ანგარიში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ* *– სპეციალური სტატისტიკა გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცემის შესახებ არ წარმოებს*
სათანადო ინტერნეტ-მისამართები:
http://www.parliament.ge/gov/enviro/Parliament/Ministry.htm

<u>მუხლი 5</u>

ჩამოთვალეთ საკანონდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოგროვებისა და გავრცელების შესახებ მე-5 მუხლის დებულებათა განხორციელებას განმარტეთ, თუ როგორ ხორციელდება მე-5 მუხლის თითოეული პუნქტი. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება. აღწერეთ აგრეთვე: (a) **1-ელ პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ: (i) საჯარო დაწესებულებებს გააჩნდეთ და განაახლებდნენ გარემოსდაცვით ინფორმაციას; (ii) საჯარო დაწესებულებებში იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის სათანადო მოდინება; (iii) გადაუდებელ მდგომარეობებში სათანადო ინფორმაცია ვრცელდებოდეს დაუყოვნებლივ; (b) **მე-2 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ გამჭვირვალე იყოს გზა, რომლითაც საჯარო დაწესებულებები ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფენ და ინფორმაცია საზოგადებისათვის ეფექტურად (რეალურად) ხელმისაწვდომი იყოს; (c) **მე-3 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის თანდათანობითი განთავსება საჯარო სატელეკომუნიკაციო ქსელების საშუალებით საზოგადოებისათვის იოლად ხელმისაწვდომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში; (d) **მე-4 პუნქტთან** მიმართებით, რა ზომებია მიღებული გარემოს მდგომარეობის ანგარიშების გამოცემისა და გავრცელების მხრივ; (e) რა ზომებია მიღებული **მე-5 პუნქტში** მითითებული ინფორმაციის გასავრცელებლად; (f) **მე-6 პუნქტან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმ საწარმოთა ოპერატორების წასახალისებლად, რომელთა საქმიანობას შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს გარემოზე, რათა მათ რეგულარულად აცნობონ საზოგადოებას მათი წარმოებისა და ნაწარმის

გარემოზე რეალური ზემოქმედების შესახებ;

(g) რა ზომებია მიღებული **მე-7 პუნქტში** მითითებული ინფორმაციის გამოქვეყნებისა და მიწოდებისათვის;

(h) **მე-8 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული ისეთი მექანიზმების დასანერგად, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის ნაწარმის შესახებ საკმაო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას;

(i) **მე-9 პუნქტთან** მიმართებაში, რა ზომებია მიღებული დამაბინძურებელთა ეროვნული ინვენტარიზაციის ან რეესტრის ჩამოყალიბებისათვის.

პასუხი:

(a) (i) "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად "გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზისა და პროგნოზირების ერთობლიობას". გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) სისტემის კოორდინაციას ახორციელებს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო. გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების (მონიტორინგის) შედეგები ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების სახელმწიფო აღრიცხვას, ანგარიშგებასა და შეფასებას საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროსთან და სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობას და კოორდინაციას უწევს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სამწუხაროდ, ფინანსური და სხვა სახის პრობლემები ხელს უშლიან კონვენციის ამ მოთხოვნის სრულად განხორციელებას

(ii) გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მქონე საქმიანობების ოპერატორები აწვდიან გარემოსდაცვით ორგანოებს ინფორმაციას მათი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესახებ საქმიანობაზე ნებართვის ან ემისიათა ლიმიტის აღებისას და შემდეგ, საქმიანობის განხორციელების განმავლობაში, პერიოდულად, ნებართვის (ლიმიტის) პირობების შესაბამისად

(iii) ინფორმაცია იმ საშიშროებების თაობაზე, რომელიც ადამიანთა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრება, ინფორმაცია სტიქიური უბედურებების, კატასტროფების ან სხვა განსაკუთრებული მოვლენების შესახებ, რომლებიც უკვე მოხდა ან შეიძლება მოხდეს და ემუქრება მოქალაქეთა უსაფრთხოებას – დასაიდუმლოებას არ ექვემდებარება (სარათველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 42, საქართველოს კანონი სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ, მუხლი 8)

(b) თითოეული საჯარო დაწესებულება ვალდებულია აწარმოოს მის განკარგულებაში არსებული ინფორმაციის საჯარო რეესტრი (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 35). საჯარო რეესტი ღიაა ყველასათვის.

ყველა საჯარო დაწესებულება ვალდებულია დანიშნოს ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, რომლის ძირითადი საქმიანობა ინფორმაციის მოთხოვნებზე პასუხის გაცემა იქნება (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი)

(c) მიმდინარეობს სამინისტროს ინტერნეტ-გვერდის შექმნა, რომელზეც შესაძლებელი იქნება ეტაპობრივად განთავსდეს მე-3 პუნქტში მითითებული ინფორმაცია

(d) *"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს ეროვნულ მოხსენებას გარემოს მდგომარეობის შესახებ. გარემოს მდგომარეობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების აღრიცხვა, ანგარიშგება და შეფასება მოიცავს გარემოს მდგომარეობის და ბუნებრივი რსურსების კადასტრის შედგენას, სტატისტიკას, ინვენტარიზაციას, პასპორტიზაციას და კარტოგრაფირებას. "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად საქართველოში გარემოს მდგომარეობის ანგარიშები ყოველწლიურად უნდა მზადდებოდეს*

(e) *გარემოს დაცვის სამინისტროში დანერგილია გარემოსთან დაკავშირებული საკანონმდებლო ან სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებისას სამინისტროსთან აქტიურად თანამშრომლობის სურვილის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციებთან რეგულარული კონსულტაციების პრაქტიკა. ინფორმაციის ოპერატულად გასავრცელებლად გარემოს დაცვის სამინისტრო არასამთავრობო ორგანიზაციათა ელექტრონულ ქსელს იყენებს*

(f) *საქართველოში ფორმალურად არსებობს ნაწარმისათვის ეკომარკის მინიჭების პროცედურა. ეკომარკას გასცემს საუწყებათაშორისო კომისია საექსპერტო კომისიის დასკვნის საფუძველზე (საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 1999 წლის 15 იანვრის ბრძანება №3)*

(g) *გარემოს დაცვის სამინისტროში გამოიყენება არასამთავრობო ორგანიზაციებთან რეგულარული შეხვედრების პრაქტიკა სამინისტროს საქმიანობის შესახებ ანგარიშის ჩასაბარებლად და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე კონსულტაციებისათვის*

(h) *2003 წელს მიღებული საკანონმდებლო ნორმა უზრუნველყოფს პროდუქტის შეფუთვაზე პროდუქტის შესახებ ინფორმაციის ეროვნულ ენაზე გამოსახვას. კონკრეტულად გარემოსდაცვითი ინფორმაციის შესახებ მოთხოვნა არ არის ფორმალიზებული*

(i) *გარემოს დაცვის სამინისტრო დღის წესრიგში დგას დამაბინძურებელთა რეესტრების ევროპული გამოცდილების შესწავლა და საქართველოში მათი ეტაპობრივი დანერგვის გზების შემუშავება*

აღწერეთ, თუ რა **წინააღმდეგობები შეხვდა** მე-5 მუხლის დებულებების შესრულებას

პასუხი:

- *ინფორმაციის მოგროვების, სათანადოდ დამუშავების და გავრცელებისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებას წარმოადგენს ცხადი პროცედურის არქონა – თუ რა სახის, რა მოცულობის და კუთვნილების ინფორმაცია უნდა იქნას შეგროვებული, გადამუშავებული და გამოქვეყნებული. ზოგადად, პრაქტიკული სირთულეებიდან აღსანიშნავია: საჯარო მოსამსახურის არასაკმარისი ცოდნა, გამოცდილება და მოტივაცია; არასათანადო ტექნიკური აღჭურვილობა; არასაკმარისი ფინანსური რესურსები, როგორც მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად, ისე საჭიროებისას კვალიფიციური ექსპერტების დასაქირავებლად*
- *რთულია მრავალრიცხოვან საჯარო დაწესებულებებში საჭირო გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოძიება (არა მარტო მოქალაქეს, საჯარო დაწესებულებათაც უჭირთ კონკრეტული ინფორმაციის მფლობელის დადგენა) საჭიროა შემუშავდეს გარემოსდაცვითი ინფორმაციის ერთიანი საინფორმაციო ბაზა, რომელიც მნიშვნელოვნად გააიოლებდა ინფორმაციის მოძიებას. გარემოს დაცვის სამინისტროს რესურსები ამ მიზნის განსახორციელებლად არასაკმარისია*
- *არ არსებობს სგანგაშო სიტუაციებში საზოგადოებისათვის დროული და სანდო ინფორმაციის მიწოდების დადგენილი პროცედურა. ამის გამო ხშირად ვრცელდება არაზუსტი, ან დაგვიანებული ინფორმაცია; ინფორმაციას მედიის სხვადასხვა საშუალებები ავრცელებელ სპონტანურად, საკუთარი ინტერპრეტაციით. საჭიროა შემუშავდეს და დაინერგოს ინფორმაციის სწრაფი გავრცელების პროცედურა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა პოტენციურ დაზარალებულს დროული და სწორი ინფორმაცია მიეწოდებოდეს*

- *დაბალია გარემოს მდგომარეობის წლიური ანგარიშის ხარისხი. სამინისტროს აკლია საჭირო ექსპერტიზა მაღალი ხარისხის ანგარიშის დამოუკიდებლად მოსამზადებლად და, ამავე დროს, არ გააჩნია ფინანსები ამ საქმისათვის კვალიფიციური კონსულტანტების დასაქირავებლად. იგივე მიზეზების გამო ვერ ხერხდება ანგარიშის პოლიგრაფიული წესით დაბეჭდვა და გავრცელება. 2004 წლის 22 დეკემბერს CENN-ის ელექტრონული ქსელით გავრცელდა ბოლო, 2003 წლის ანგარიში*
- *მე-5 და მე-7 პუნქტში მითითებული ინფორმაციის გავრცელებას აფერხებს ინფორმაციის გამოქვეყნების მაღალი ფასი. გარემოს დაცვის სამინისტროს რეგულარული ბეჭდვითი გამოცემის არსებობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებდა მდგომარეობას*
- *ეკომარკის შესახებ დამტკიცებული დებულება არ შეესაბამება საერთაშორისო საუკეთესო გამოცდილებას. არ არსებობს სხვადასხვა სახის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის სტანდარტები; არ არის მინიჭებული არცერთი ეკომარკა; მეტიც, არ შემოსულა არცერთი განაცხადი (რაც თავისთავად მეტყველებს დაბალ ინფორმირებულობაზე). საზოგადოებისათვის გაუგებარია თავად "ეკოლოგიურად სუფთა პროდუტი" ტერმინის მნიშვნელობა – მომხმარებელიც და მიმწოდებლებიც ამ ტერმინს ძირითადად აიგივებენ "ჯანმრთელობისათვის უვნებელთან". ადგილი აქვს ამ ტერმინის შეუზღუდავ დაუსაბუთებელ გამოყენებას უამრავი სხვადასხვა სახის პროდუქციის რეკლამაში, რაც მომხმარებლისათვის არავითარი ინფორმაციის მატარებელი არ არის*
- *მედიის სხვადასხვა საშუალებები დიდი დაგვიანებით აღწევენ დაშორებულ რეგიონებს, სათანადოდ არ მუშაობს ფოსტა, ინტერნეტ კომუნიკაციები კი ქვეყანაში ჯერ-ჯერობით მოუწესრიგებელია. ეს ართულებს ინფორმაციის მიწოდებას რეგიონებში განთავსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებისა თუ აქტიური მოქალაქეებისათვის*
- *დამბინძურებელთა ინვენტარიზაციის ევროპული გამოცდილების გაანალიზება და მის საფუძველზე ეროვნული სისტემის შემუშავება თუმცა ფორმალურად დგას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დღის წესრიგში, მაგრამ არ არის უზრუნველყოფილი აუცილებელი რესურსებით*

დამატებითი ინფორმაცია მე-5 მუხლის დებულებათა პრაქტიკული განხორციელების შესახებ. **მაგ. თუ არის ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებული ინფორმაციის შესახებ**

პასუხი:

– სამინისტროში შეიქმნა საქმის წარმოების მონაცემთა ბაზა

– სამინისტროს მუშაობის უკეთ გაშუქების და ინფორმაციის დროულად გავრცელების მიზნით შეიქმნა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ვებ-გვერდი, რომელიც განთავსდა ინტერნეტში და იქნება მუდმივად განახლებადი

– იქმნება ყოველთვიური საინფორმაციო ბიულეტენი სამინისტროს სტრუქტურებში გასავრცელებლად

– სამინისტრო იყენებს CENN-ის ელექტრონულ ქსელს ინფორმაციის გასავრცელებლად

სათანადო ინტერნეტ-მისამართები:

http://www.parliament.ge/gov/enviro/Parliament/Ministry.htm

<u>მუხლი 6</u>

ჩამოთვალეთ საკანონდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონკრეტულ საქმიანობათა შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ მე-6 მუხლის დებულებათა განხორციელებას.

განმარტეთ, თუ როგორ ხორციელდება მე-6 მუხლის თითოეული პუნქტი. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება. აღწერეთ აგრეთვე:

(a) **1-ელ პუნქტთან** მიმართებაში, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:

(i) მე-6 მუხლის დებულებები გამოყენებული იქნას კონვენციის I დანართში ჩამოთვლილ საქმიანობებზე ნების დართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას;

(ii) მე-6 მუხლის დებულებები გამოყენებული იქნას ისეთ საქმიანობებზე ნების დართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, რომლებიც კონვენციის I დანართში ჩამოთვლილი არ არის, მაგრამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს გარემოზე;

(b) რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ დაინტერესებული საზოგადოება ინფორმირებულ იქნას **მე-2 პუნქტში** ჩამოთვლილ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების საწყის ეტაპზე სათანადოდ, დროულად და ეფექტურად;

(c) რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურების ვადები პასუხობდეს **მე-3 პუნქტის** მოთხოვნებს;

(d) **მე-4 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოების მონაწილეობა საკმარისად ადრეულ ეტაპზე მოხდეს;

(e) **მე-5 პუნქტთან** მიმართებაში, რა ზომებია მიღებული საქმიანობისათვის ნებართვაზე განაცხადის შემომტანის წასახალისებლად, რათა მან წინასწარ გამოავლინოს დაინტერესებული საზოგადოება, მიაწოდოს მას ინფორმაცია თავისი განაცხადის მიზნების შესახებ და დაიწყოს მასთან მსჯელობა;

(f) მე-6 პუნქტან დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:

(i) სათანადო ადმინისტრაციულმა ორგანომ მიაწოდოს დაინტერესებულ საზოგადოებას მე-6 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილების მიღების პროცესთან დაკავშირებული ის ინფორმაცია, რომელიც მონაწილეობის მომენტისათვის არსებობს;

(ii) სათანადო ადმინისტრაციულმა ორგანომ საზოგადოებას საბოლოოდ მიაწოდოს მთელი ის ინფორმაცია, რომელიც ამ პუნქტშია მითითებული;

(g) **მე-7 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის განმავლობაში საზოგადოებას საშუალება ჰქონდეს წარადგინოს თავისი შენიშვნები, ინფორმაცია და მოსაზრებები, რომელსაც იგი შემოთავაზებულ საქმიანობასთან დაკავშირებულად მიიჩნევს;

(h) **მე-8 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის შედეგებს სათანადო ყურადღება მიექცეს;

(i) **მე-9 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ საზოგადოება სწრაფად იქნას ინფორმირებული მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, სათანადო პროცედურის შესაბამისად;

(j) **მე-10 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ როდესაც ადმინისტრაციული ორგანო განაახლებს ან ხელახლა განიხილავს ნებართვას პირველ პუნქტში მითითებულ საქმიანობებზე, იქ სადაც მიზანშეწინილია, გამოყენებული იქნას მე-2 – მე-9 პუნქტების დებულებები საჭირო ცვლილებებით;

(k) **მე-11 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ მე-6 მუხლის დებულებები გამოყენებულ იქნას გენეტიკურედ მოდიფიცირებული ორგანიზმების გარემოში განზრახ გაშვების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას.

პასუხი:

კონვენციის მე-6 მუხლის მოქმედება საქართველოში ვრცელდება სამეწარმეო საქმიანობაზე გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურაზე. გარემოსდაცვითი ნებართვა კი საქართველოში გაიცემა ე.წ. საჯარო ადმინისტრაციული პროცედურის საფუძველზე. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს საზოგადოების კიდევ უფრო ფართო უფლებებს, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული. მაგ. პროცედურაში მონაწილეობის, აგრეთვე მისი პროცედურული ან არსობრივი კანონიერების გასაჩივრების უფლება აქვს არა მარტო არასამთავრობო ორგანიზაციებს, არამედ ყველას. პროცედურის სავალდებულო შემადგენელი ნაწილებია: საჯარო განხილვისათვის დოკუმენტების წარდგენა და ამის შესახებ ცნობის გამოქვეყნება, კომენტარების მიღება, საჯარო განხილვის ჩატარება, გადაწყვეტილების გამოქვეყნება. პროცედურის დარღვევით მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილება ბათილია. საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს შეუძლია გაასაჩივროს ამგვარი გადაწყვეტილება და მიაღწიოს მის ანულირებას. გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის დადგენილი პროცედურა აკმაყოფილებს მე-6 მუხლის თითქმის ყველა მოთხოვნას:

(a) *საქართველოში მოქმედებს გარემოზე რაიმე ზემოქმედების მქონე საქმიანობათა ჩამონათვალი (გარემოზე ზემოქმედების უნარის მიხედვით საქმიანობანი დაყოფილია 4 კატეგორიად სერიოზულ და შეუქცევად ზემოქმედების მქონე I კატეგორიის საქმიანობებიდან – უმნიშვნელო ზემოქმედების მქონე IV კატეგორიის საქმიანობებამდე). ეს ჩამონათვალი გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე კონვენციის დანართში არესბული. ყველა ამ საქმიანობათა განხორციელებას ესაჭიროება გარემოსდაცვითი ნებართვა, რომელიც მოიცავს მე-6 მუხლში მითითებულ პროცედურებს*

(b) *"გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი და "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონი სრულად უზრუნველყოფს საზოგადოების მონაწილეობის შესაძლებლობას საქმიანბაზე გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საქარველოს კანონმდებლობა ადგენს ინფორმაციის გავრცელების ვადებს და გზებს და ამ ინფორმაციის მინიმალურ მოცულობას. კერძოდ, ცნობა გარემოსდაცვით ნებართვაზე განაცხადის შემოსვლის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, ან პრესაში, რომელიც სულ ცოტა კვირაში ერთხელ მაინც გამოდის და მოიცავს შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მთელ სამოქმედო ტერიტორიას, ან, თუ ეს შეუძლებელია, გამოიკრას საჯარო ადგილზე (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლები 56 და 57). ეს ცნობა უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: საქმიანობის დასახელება და ადგილმდებარეობა; ინვესტორის ვინაობა; საქმიანობის მიზნები და მისი კატეგორია; დაწყების და დასრულების სავარაუდო თარიღი; მისამართი, სადაც საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება ექნებათ გაეცნონ საქმიანობასთან დაკავშირებულ დოკუმენტებს (საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი 5); ადმინისტრაციული ორგანო, სადაც მიმდინარეობს გადაწყვეტილების მიღება; საკუთარი მოსაზრებების წარდგენის ვადა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადა (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 116).*

გარდა ამისა, იგივე გზით უნდა გამოქვეყნდეს ინფორმაცია ზეპირი მოსმენის თარიღისა და ადგილის შესახებ მის ჩატარებამდე სულ ცოტა 7 სამუშაო დღით ადრე (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, მუხლი 110)

(c) *საზოგადოების მიერ მოსაზრებათა წარდგენის ვადა იწყება ცნობის გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება სულ ცოტა 20 სამუშაო დღე (I კატეგორიის საქმიანობისათვის – 45 დღე). ეს ვადა საკმარისი უნდა იყოს საზოგადოების წარმომადგენლებისათვის მომზადებისა და მონაწილეობისათვის*

(d) *ცნობა გარემოსდაცვით ნებართვაზე განაცხადის შემოსვლის შესახებ განცხადების რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა გამოქვეყნდეს (საქართველოს კანონი გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ, მუხლი 7)*

(e) *გარემოსდაცვითი ნებართვის მისაღებად განაცხადის შემოტანამდე ინვესტორმა (I კატეგორიის საქმიანობისათვის) უნდა განახორციელოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შესწავლა და მოამზადოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი.*

აღწერეთ, თუ რა **წინააღმდეგობები შეხვდა** მე-6 მუხლის დებულებების შესრულებას.
პასუხი: *– 1996 წლის კანონმდებლობით დადგენილი გარემოსდცვითი ნებართვის გაცემის პროცედურა იმ დროისათვის საკმაოდ პროგრესული იყო. განვლილი 8 წლის განმავლობაში გამოიკვეთა ამ პროცედურის მზარდი შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნებთან* *– საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება საკმაოდ გვიანდელ ეტაპზე ხდება. კერძოდ, ამ ეტაპისათვის უკვე მთლიანად გადაწყვეტილია საქმიანობის ზუსტი განთავსების საკითხი, მიღებულია დასტური ადგილობრივი მმართველობის ყველა სამსახურიდან, დადასტურებულია ტექნოლოგია. შედეგად გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, პრაქტიკულად, არჩევანი უაღრესად შეზღუდულია, რაც, ერთის მხრივ, ზრდის დაპირისპირებას საზოგადოებასა და ინვესტორს შორის, მეორეს მხრივ კი, ამცირებს საზოგადოების მონაწილეობის შედეგიანობას, რასაც საზოგადოების მიერ ინტერესის დაკარგვა მოსდევს. ქვეყანაში დგას საკითხი სამეწარმეო საქმიანობაზე ნებართვის გაცემის სხვადასხვა პროცედურების კოორდინირებულობის გაზრდის შესახებ* *– არ არის ზუსტად გაწერილი გზშ-ს განხილვის დაწყებიდან მისი დოკუმენტური უზრუნველყოფა* *– განცხადება გზშ-ს პროცედურის შესახებ არასაკმარისად ინფორმატიულია* *– არ არის მკაფიოდ დადგენილი ექსპერტების შერჩევის პროცედურები* *ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად მიმდინარეობს პროექტი, რომლის მიზანია საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო მასში არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობს*
მოგვაწოდეთ მეტი ინფორმაცია მე-6 მუხლის **დებულებათა პრაქტიკული განხორციელების შესახებ**. მაგ. **სტატისტიკური ან სხვა ინფორმაცია კონკრეტულ საქმიანობათა შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ ან იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებშიც, ეროვნული უსაფრთხოების მიზნების გათვალისწინებით საზოგადოების მონაწილეობა არ მომხდარა.**
პასუხი: *გზშ-ს განხილვაში საზოგადოების რეალურად მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელია მხოლოდ 15-20%. საზოგადოების ინტერესი ძირითადად ეხება მსხვილ პროექტებს (მაგ. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენი). ამ დაბალი პროცენტის ახსნა ნაწილობრივ ზემოთ აღწერილი მიზეზებით შეიძლება; გარდა ამისა, სხვა მიზეზები შეიძლება იყოს:* *– საზოგადოების მონაწილეობისათვის საჭირო რესურსების სიმწირე (მათ შორის. არასამთავრობო ორგანიზაციების რესურსებისა), რაც შედეგად იწვევს რესურსების განსაზღვრული მიმართულებით კონცენტრაციის აუცილებლობას* *– არასამთავრობო ორგანიზაციების ნაკლებგამოხატული ინტერესი. საჭიროა ეროვნული მასშტაბის არასამთავრობო ორგანიზაციების მეტი დაინტერესება "რეზონანსული" – მაშასადამე, მსხვილი – პროექტებით* *– ადგილობრივ დონეზე საზოგადოების დაბალი ორგანიზებულობა, საზოგადოებრივი ინტერესების გამომხატველ ორგანიზაციათა სისუსტე თემების და მცირე დასახლებების მასშტაბით*
სათანადო ინტერნეტ-მისამართები:
http://www.parliament.ge/gov/enviro/Parliament/Ministry.htm

<u>მუხლი 7</u>

ჩამოთვალეთ საკანონდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემოსთან დაკავშირებული გეგმებისა და პროგრამების მომზადებაში საზოგადოების მონაწილეობას. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება
პასუხი: *1996 წელს მიღებული კანონით "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ", გეგმებისა და პროგრამების ფართო სპექტრი (მათ შორის, ინფრასტრუქტურული გეგმები, პროექტები და პროგრამები, წყლების, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების გეგმები და პროექტები) საჭიროებს გარემოსდაცვითი ნებართვის მიღებას, გზშ-ს შემუშავებითა და სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის პროცედურის აუცილებელი შემადგენელი ნაწილია*
აღწერეთ, თუ რა შესაძლებლობები გააჩნია საზოგადოებას გარემოსთან დაკავშირებული პოლიტიკის (სტრატეგიის, კონცეფციის) შემუშავებაში მონაწილეობისათვის
პასუხი: *მიუხედავად ზოგიერთ შემთხვევაში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნისა (მაგ., "გარემოს დაცვის კანონი", ადმინისტრაციული კოდექსი), საზოგადოების მონაწილეობა ძირითადად ჯერაც დამოკიდებულია პროცესის წამყვანი უწყების კეთილ ნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, როგორც წესი, დადებითად ფასდება და "კარგ ტონად" ითვლება, ეს არ არის ფორმალურად გარანტირებული და ტოვებს მანიპულირების შესაძლებლობას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაინტერესების შემთხვევაში საზოგადოების წარმომადგენლებს შეუძლიათ მონაწილეობა ამ პროცესებში (ამისათვის არსებობს საკმარისი საკანონმდებლო ბაზა). პრობლემა უფრო ინფორმირებულობის დონეს ეხება, ვიდრე მონაწილეობის უფლებას*
აღწერეთ, თუ **რა წინააღმდეგობები შეხვდა** მე-7 მუხლის შესრულებას

პასუხი:

– 1996 წლის კანონის მოთხოვნა აშკარად არარეალური აღმოჩნდა – დღემდე არ არსებობს გეგმებისა და პროგრამებისათვის გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემის არც ერთი პრეცედენტი. ასე რომ, ფორმალური მოთხოვნის არსებობა იგნორირებულია.
მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვანი გეგმებისა და პროგრამების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობის ზრდის ტენდენცია შეინიშნება, თუმცა საკანონმდებლო მოთხოვნის გარეშე კონვენციის ეს ნორმა ვერ ჩაითვლება უზრუნველყოფილად
– გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო გეგმავს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ინსტრუმენტის დანერგვას საშუალოვადიან პერიოდში; უკვე არსებობს შესაბამისი პროგრამის პროექტი, რომელიც დაფინანსების შემთხვევაში შეიმუშავებს ახალი საკანონმდებლო დოკუმენტის პროექტს რეალური ნორმებითა და პროცედურებით
– საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, პროექტების დიდი რაოდენობა განხორციელდა. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანის შესახებ თითქმის არაფერი არ არის ცნობილი, მათი განხორციელება ჩაკეტილად მიმდინარეობდა. ფრიად ბუნდოვანი იყო და არასასურველი შედეგებიც გამოიწვია ზოგიერთი ადგილობრივი თემის განვითარების პროექტების განხორციელებამ

– დღეისათვის არ არსებობს ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეზე გარემოსთან დაკავშირებული გეგმების, პროგრამების თუ სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების ფორმალიზებული პროცედურა. მეტიც, საქართველოს კანონმდებლობაში არ არის განსაზღვრული საზოგადოდ ეროვნული გეგმების შემუშავების სქემა, რის გამოც ცალკე აღებულ უწყებას ზოგჯერ აქვს საშუალება თავად შეიმუშაოს საკუთარი სექტორული გეგმა; არ არსებობს ცალსახა განმარტება, თუ რას ნიშნავს "გეგმა", "პროგრამა", "სტრატეგია" და "კონცეფცია". შესაბამისად, არ არის ფორმალიზებული ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობაც

– ამ მხრივ დამაიმედებელია ფინანსთა სამინისტროს ინიციატივა "საშუალოვადიანი დანახარჯების ჩარჩოს" (Medium Term Expenditure Framework – MTEF) პრაქტიკაში შემოღების შესახებ. ამ ინსტრუმენტით თავად დაგეგმვის პროცესი უფრო მნიშვნელოვანი ხდება და მასში საზოგადოების მონაწილეობაც მეტ აზრს შეიძენს

მოგვაწოდეთ **მეტი ინფორმაცია** მე-7 მუხლში მოცემულ **კონკრეტულ ქმედებებში** გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ დებულებათა **განხორციელების პრაქტიკული მაგალითები**
პასუხი: PRSP დოკუმენტის შემუშავების პროცესი
სათანადო ინტერნეტ-მისამართები:
http://www.parliament.ge/gov/enviro/Parliament/Ministry.htm

<u>მუხლი 8</u>

აღწერეთ, თუ რა ძალისხმევა იქნა გაწეული საზოგადოების ეფექტური მონაწილეობის ხელშესაწყობად ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ისეთი ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ გარემოზე. რამდენადაც მიზანშეწონილია, აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება

პასუხი: *საკანონმდებლო დონეზე კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებების განხორციელება უზრუნველყოფილია საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონითა და "გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონით. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნორმატიული დოკუმენტების გამოცემისათვის, აგრეთვე გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოება (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი XV). ამ პროცესში საზოგადოების მონაწილეობა გარანტირებულია კანონით*
აღწერეთ, თუ რა **წინააღმდეგობები შეხვდა** მე-8 მუხლის შესრულებას
პასუხი: *კანონის მოთხოვნები არსებობს, თუმცა კანონპროექტების შემუშავებაში საზოგადოების მონაწილეობა ფორმალურად სუსტადაა რეგლამენტირებული. ამიტომ ხშირია საზოგადოების ჩართვის არასწორი გზების, მეთოდების, ვადების გამოყენება (მაგალითად: კანონპროექტის გავრცელება არასამთავრობო ორგანიზაციების ელექტრონული ქსელით მის განხილვამდე 2-3 დღით ადრე და ამის შედეგად განხილვაზე საზოგადოების კომენტარების მოლოდინი).* *კონკრეტული კანონპროექტების შემუშავებისას გვხვდება როგორც საზოგადოების ფართო მონაწილეობის, ისე სრული არაინფორმირებულობის შემთხვევებიც. ძირითადად, სახელმწიფო უწყებათა პოზიცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც "პასიურად მომლოდინე" – თუ საზოგადოება თავად გამოავლენს ინტერესს და მონაწილეობის სურვილს, მას ეძლევა ამისი შესაძლებლობა. თუმცა, ზოგიერთი სახელმწიფო უწყება ამ საკითხთან დაკავშირებით დიდი ენთუზიაზმით არ გამოირჩევა*
მოგვაწოდეთ **მეტი ინფორმაცია** მე-8 მუხლში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ **დებულებათა განხორციელების პრაქტიკული მაგალითები**
პასუხი: *– კანონპროექტი ეკოაუდიტის შესახებ, კანონპროექტი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ*
სათანადო ინტერნეტ-მისამართები:
http://www.parliament.ge/gov/enviro/Parliament/Ministry.htm; http://www.moe.gov.ge

მუხლი 9

ჩამოთვალეთ საკანონდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფენ მე-9 მუხლის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის დებულებათა განხორციელებას.

განმარტეთ, თუ როგორ ხორციელდება მე-9 მუხლის თითოეული პუნქტი. აღწერეთ მე-2 მუხლის შესაბამის განმარტებათა და მე-3 მუხლის მე-9 პუნქტის დისკრიმინაციის გამორიცხვის მოთხოვნათა გამოყენება. აღწერეთ აგრეთვე:

(a) **1-ელ პუნქტთან** მიმართებაში, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:

(i) ნებისმიერ პირს, რომელსაც მიაჩნია, რომ მის მიერ ინფორმაციის მოთხოვნაზე სათანადო რეაგირება არ მოხდა, ხელი მიუწვდებოდეს სასამართლოს ან სხვა, კანონით დაარსებული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ საკითხის გადასინჯვის პროცედურაზე;

(ii) თუ კანონმდებლობით დადგენილია ამგვარი გადასინჯვის პროცედურა სასამართლოს მიერ, ამ პირს ხელი მიუწვდებოდეს აგრეთვე სხვა, კანონით დადგენილ, საჯარო დაწესებულების ან კანონით დაარსებული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მიერ საკითხის განხილვის უფასო ან იაფ პროცედურაზე;

(iii) ამ პუნქტის შესაბამისად მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებანი სავალდებულო იყოს შესასრულებლად საჯარო დაწესებულებისათვის; და რომ დასაბუთება ჩამოყალიბდეს წერილობით, მაშინ მაინც, თუ ინფორმაციის გაცემაზე უარი ითქვა.

(b) რა ზომებია მიღებული იმის უზრუნველსაყოფად, რომ ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, დაინტერესებული საზოგადოების წევრებს, რომლებიც აკმაყოფილებენ **მე-2 პუნქტში** ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს, ხელი მიუწვდებოდეთ სასამართლოს ან სხვა, კანონით დაარსებულ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოს მიერ საკითხის გადასინჯვის პროცედურაზე, ნებისმიერი გადაწყვეტილების, ქმედების ან უმოქმედობის პროცედურული თუ შინაარსობრივი კანონიერების გადასახედად, რომელიც მე-6 მუხლის დებულებებს ეწინააღმდეგება;

(c) **მე-3 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ საზოგადოების წარმომადგენლებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, თუკი ასეთი არსებობს, ხელი მიუწვდებოდეთ ადმინისტრაციულ ან სასამართლო პროცედურაზე, კერძო პირების თუ საჯარო ორგანოების იმ ქმედებების ან უმოქმედობის გასასაჩივრებლად, რომლებიც გარემოს დაცვის ეროვნული კანონმდებლობის დებულებებს ეწინააღმდეგება;

(d) **მე-4 პუნქტთან** დაკავშირებით, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ:

(i) 1, მე-2 და მე-3 პუნქტში მოხსენიებული პროცედურები ეფექტური გამოსწორების ზომებს ითვალისწინებდნენ;

(ii) აღნიშნული პროცედურები ამ პუნქტის დანარჩენ მოთხოვნებს აკმაყოფილებდნენ;

(e) **მე-5 პუნქტთან** მიმართებაში, რა ზომებია მიღებული იმისათვის, რომ საზოგადოებას მიეწოდებოდეს ინფორმაცია ადმინისტრაციული თუ სასამართლო პროცედურის ხელმისაწვდომობის შესახებ.

პასუხი:

კონვენციის ამ მუხლის მოთხოვნები ძირითადად სრულდება:

(a) ნებისმიერ პირს შეუძლია საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მისი უფლების დარღვევა გაასაჩივროს როგორც ზემდგომ ორგანოში, ასევე (ან, თუ სურს ამის შემდეგ) სასამართლოში ("გარემოსდაცვითი ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი). ამ პუნქტის შესაბამისად, მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება სავალდებულოა შესასრულებლად საჯარო დაწესებულებისათვის. ინფორმაციაზე უარის გაცემის შემთხვევაშიც, დასაბუთება უნდა ჩამოყალიბდეს მოთხოვნილი ფორმით

(b) ნებისმიერ პირს შეუძლია გაასაჩივროს ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის პროცედურის დარღვევა როგორც ზემდგომ ორგანოში, ასევე (ან, თუ სურს ამის შემდეგ) სასამართლოში

(c) საზოგადოების წევრებმა უნდა გამოიყენონ უშუალოდ კონვენციის მიერ მათთვის მინიჭებული ეს უფლება და მიმართონ სასამართლოს, რადგან გათვალისწინებული საკითხის მარეგულირებელ ნორმებს არ შეიცავს საქართველოს კანონმდებლობა

(d) საქართველოს კანონმა "სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" მეწარმეთა ინტერესების გათვალისწინებით გააუქმა სარჩელის (საჩივრის) ავტომატური უზრუნველყოფა ნებართვებისა და ლიცენზიების შემთხვევაში. თუმცა მოსარჩელეს (მომჩივანს) შეუძლია მოითხოვოს იგი. სასამართლო (ზემდგომი ორგანიზაცია) საქმის გარემოებებიდან გამომდინარე მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას აღნიშნული კანონის თანახმად, სარჩელის ავტომატური უზრუნველყოფა კონკრეტულად არ ეხება გარემოსდაცვით საკითხებს, რაც იურისტებს აძლევს მისი ინტერპრეტაციის საშუალებს. დაფიქსირდა ერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლოში შეტანილ იქნა გარემოსდაცვით საკითხთან დაკავშირებული სარჩელი, მაგრამ, სწორედ ამ კანონზე მითითებით, მშენებლობის პროცესი არ იქნა შეჩერებული.

(e) როგორც სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოები, ასევე რიგი აქტიური არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები აწარმოებენ აქტიურ კამპანიებს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის საკითხებში მოქალაქეთა გათვითცნობიერებისათვის. იზრდება საქმეთა რიცხვი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მონაწილეობის საკითხებთან დაკავშირებით

აღწერეთ, თუ რა **წინააღმდეგობები შეხვდა** მე-9 მუხლის შესრულებას.

პასუხი:

- *სასამართლოში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევასთან დაკავშირებით შეტანილი სარჩელების განხილვის ვადა, სამწუხაროდ, ხშირად გაცილებით აღემატება დადგენილ 2 თვეს (არსებობს შემთხვევა, როდესაც საბოლოო გადაწყვეტილება 18 თვის შემდეგ იქნა გამოტანილი)*
- *შელავათები სახელმწიფო ბაჟთან დაკავშირენბით არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე (მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებზე). არის შემთხვევა, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციას 1500 დოლარის ექვივალენტის ტოლი ბაჟის გადახდა დაეკისრა. საქართველოში ეს ძალიან დიდი თანხაა*

მოგვაწოდეთ დამატებითი ინფორმაცია მე-9 მუხლის დებულებათა **პრაქტიკული განხორციელების შესახებ**. მაგ. წარმოებს თუ არა გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების სტატისტიკა და არსებობს თუ არა დახმარების მექანიზმები მართლმაჯულების ხელმისაწვდომობისათვის ფინანსურ ან სხვა დაბრკოლებათა შესუსტების ან მოხსნისათვის?

პასუხი: - *გარემოსდაცვითი მართლმსაჯულების სტატისტიკა არ წარმოებს. სხვადასხვა სახის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლებასთან დაკავშირებით 2000-დან 2004 წლამდე სასამრთლოში აღძრულია 38 საქმე; გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში საზოგადოების მონაწილეობის დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლოში დღეისათვის აღძრულია 2 საქმე* - *არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ორჰუსის კონვენციაზე მითითების შედეგად უზენაესი სასამართლოს მიერ სახელმწიფო ბაჟის შემცირების პრეცედენტი 4000 ლარიდან 1000 ლარამდე (რაც აგრეთვე საკმაოდ დიდი თანხაა)*
სათანადო ინტერნეტ-მისამართები:
http://www.coj.gov.ge; http://www.supremecourt.ge; http://www.court.gov.ge; http://www.gyla.ge; http://www.alpe.ge; http://www.article42.ge

ზოგადი შენიშვნები კონვენციის მიზნებთან დაკავშირებით:

რამდენადაც ეს მიზანშეწონილია, აღწერეთ, თუ როგორ უწყობს ხელს კონვენციის განხორციელება დღევანდელი და მომავალი თაობების თითოეული პიროვნების უფლების დაცვას იცხოვროს სათანადო და მისი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისათვის შესაბამის გარემოში.
პასუხი: *კონვენციასთან საქართველოს შეერთებამ აშკარად გაზარდა მოქალაქეთა შესაძლებლობა, გააკონტროლონ, თუ როგორ იცავს მათი მთავრობა და სახელმწიფო მათ გარემოს, და აგრეთვე, თავად გაიღონ წვლილი გარემოს დასაცავად. ზოგადი ტენდენცია მიუთითებს საზოგადოების აქტივობის ზრდაზე, რაც შესაბამის გამოხმაურებას ჰპოვებს სამთავრობო უწყებათა მხრიდან. თუმცა, პროგრესის ტემპი მეტი იქნება აქტიური და მიზანმიმართული სახელმწიფო პოლიტიკის გატარების შემთხვევაში. კონკრეტულ საქმეებში მონაწილეობა ასევე ზრდის იმ პირთა რაოდენობას და გამოცდილებას, რომლებსაც აქტიური პოზიცია უჭირავთ საზოგადოების განვითარების საკითხში*

[1] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მონაცემებით
[2] ორივე არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივას" მიერ